

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა



III ტური I ეტაპი

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ყურადღებით გაეცანით დავალებას, კარგად გაიაზრეთ პირობა, დაწერეთ ესე და გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს. გთხოვთ, წეროთ გარკვევით.

ბუკლეტის ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის.

გაითვალისწინეთ:

გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3,5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

არგუმენტირებული ესე

თქვენ წინაშეა ერთმანეთისაგან განსხვავებული ხუთი წყარო. ყურადღებით გაეცანით მათ და გაანალიზეთ თითოეული მათგანის საზრისი. წყაროების გამოყენებით დაწერეთ არგუმენტირებული ესე, რომელიც გააერთიანებს ხუთივე წყაროს ძირითად სათქმელს და დაასათაურეთ იგი:

წყარო N1



ინდოეთის კოლონიალური ელიტა



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი ხვდება ქართული პარტიული და კულტურული ელიტის წარმომადგენლებს.

„ბრიტანულმა მმართველობამ ფეხი მოიკიდა იმით, რომ შექმნა ახალი კლასები და ურთიერთინტერესების ქსელი, რომელიც აკავშირებდა ამ მმართველობასა და მას, ვისი პრივილეგიებიც მის შენარჩუნებაზე იყო დამოკიდებული.“

ჯავახარლალ ნერუ

წყარო N2

„ყველას კარგად მოეხსენება, რომ სკკპ-ში მონური მორჩილება არსებობს და არავის აქვს უფლება საკუთარი აზრი ჰქონდეს. ამიტომ ქართელი კომუნისტები არ გამოხატავენ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესს, თუმცა წამდაუწუმ ჩაგვჩიჩინებენ - სხვა მიზანი, საფიქრალი და დანიშნულება არ გაგვაჩნია, თუ არა საქართველოს მოვლა-პატრონობაო. რა თქმა უნდა, მათ ევალეხათ საქართველოს, როგორც რუსეთის პროვინციის, მოვლა პატრონობა და ამას შეძლებისდაგვარად აკეთებენ კიდევ. მაგრამ მე ვლაპარაკობ საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობაზე და, ცხადია, რომ ამ ფუნქციის შემსრულებლებლად ქართველი კომუნისტები არ გამოდგებიან.“

აკაკი ბაქრაძე

წყარო N3

„ყველა საბჭოთა მოქალაქემ იცის, როგორ ხდება სსრკ-ში ალტაცების ან ალშფოთების გამოხატვა. კომპარტიის ცკ მისცემს გაზეთს დირექტივას - ამა და ამ ამბის გამო უნდა ხალხი ალტაცდეს ან ამა და ამ ამბის გამო ხალხი უნდა ალშფოთდეს. დირექტივის თანახმად გაზეთის მუშაკები შეადგენენ ალტაცების ან ალშფოთების სტანდარტულ წერილებს. შემდეგ უნდა მოიძებნოს ამ წერილებზე ხელისმომწერნი. უნდა დაიცვან კლასობრივი პრინციპი: ხელისმომწერთა შორის აუცილებლად უნდა იყვნენ მუშა, გლეხი, და ინტელიგენტი. პირველად, რა თქმა უნდა, მიაკითხავენ უკვე დაქირავებულებს. იმათ, ვისაც უკვე მიღებული აქვთ საბჭოთა ორდენები, პრემიები, თანამდებობები. როგორც წესი, ეს პირები წაუკითხავად აწერენ ხელს, რასაც წინ დაუდებენ.“

აკაკი ბაქრაძე

წყარო N4

„ჩვენს პოლიტიკურ, სოციალურ და, განსაკუთრებით, მენტალურ სივრცეში საბჭოთა ყოფა - სოვიეტიზმი - როგორც ცხოვრების, წარმოების, აზროვნების წესი, კვლავ გაბატონებულია.“

მერაბ მამარდაშვილი

წყარო N5

„ამ პრობლემის გადაწყვეტის პირობა კი შინაგანი განთავისუფლებაა. ე.ი. ჩვენ გვჭირდება განთავისუფლება არა მხოლოდ იმპერიისგან, არამედ ჩვენივე ცხოვრების გარკვეული შინაგანი პრინციპისაგან.“

მერაბ მამარდაშვილი

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების გათვალისწინებით:

- ესე უნდა იყოს არგუმენტირებული, ერთიანი, მთლიანი. მასში ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული მოცემული ხუთივე წყაროს საზრისი, თუმცა ის არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ წყაროში მოცემული პრობლემატიკის პერიფრაზს ან/და წყაროთა საზრისების მექანიკურ ჯამს;
- თქვენი მსჯელობა უნდა იყოს არგუმენტირებული. ესეზე მუშაობისას, შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი მონაცემი (მაგალითები ისტორიიდან, ლიტერატურიდან, პირადი გამოცდილებიდან და სხვა), რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ თქვენი პოზიციის გასამყარებლად;
- ნაშრომი, ასევე, უნდა განიხილავდეს ესეს ძირითად იდეას საქართველოს დღევანდელ კონტექსტში და წარმოაჩინდეს თქვენს ხედვას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დარწმუნდით, რომ ესე:

- დასათაურებულია;
- აგებულია ესეს სტრუქტურის შესაბამისად (შესავალი ნაწილი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა);
- მოიცავს დამაჯერებელ არგუმენტებს.
- ნათლად გადმოსცემს თქვენს სათქმელს;

გაითვალისწინეთ, ესე გასწორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა შეესაბამებოდეს მოცემული წყაროების საზრისს;
- არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ შეხედულებებს, სიძულვილის ენას;
- შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით;
- არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის.







